*პროექტი*

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო**
**განკარგულება №**
**---აგვისტო 2025 წელი**

**ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, პაატა სააკაძის ქუჩის მონაკვეთისთვის დოდო ჭიჭინაძის II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, პაატა სააკაძის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს დოდო ჭიჭინაძის II ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **ზურაბ აბაშიძე**


1:800
X=484283 Y=4617340
დოდო ჭიჭინაძის II ჩიხი
X=484157 Y=4617271

**სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

**29 / ივლისი / 2025 წ.**

06-032521048-03

KA011787661369925

**№ 170645**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მოგახსენებთ, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან (შემდგომში - „სააგენტო") გადმოგეგზავნათ 2024 წლის 11 აპრილის N80600 მომართვა - ქალაქ თბილისში არსებული პაატა სააკაძის ქუჩის მოხაზულობის დაზუსტების თაობაზე, რომელთან დაკავშირებით საპასუხო კორესპონდენცია სააგენტოში არ შემოსულა.

განმეორებით გიგზავნით N80600 მომართვას და გთხოვთ, განმცხადებლის ინტერესების გათვალისწინებით, დროის უმოკლეს ვადაში, უზრუნველყოთ წერილში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით სააგენტოსთვის ინფორმაციის მოწოდება.

დანართი: 3 (სამი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

გიორგი ტაბატაძე

**სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

**11 / აპრილი / 2024 წ.**

KA011729589067624

**№ 80600**

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მოგახსენებთ, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში „სააგენტოს") წარედგინა განცხადება № M24005745, რომლითაც მოთხოვნილია ნუმერაციის წარმოშობა უძრავ ნივთზე საკადასტრო კოდით - 01.16.04.051.066. ინფორმაციის გადამოწმების მომენტისთვის უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტის საფუძველზე უძრავი ნივთის საიდენტიფიკაციო მონაცემად აღრიცხულია: ქალაქი თბილისი, ლამის III შესახვევი N13.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 აგვისტოს N261 განკარგულების თანახმად, ლამის ქუჩის მონაკვეთს, ლამის I შესახვევს და ლამის III შესახვევს განესაზღვრა ლამის ქუჩის სახელი.

სივრცითი მონაცემების შეფასებით დგინდება, რომ უძრავი ნივთს (საკადასტრო კოდით - 01.16.04.051.066) ძირითადი მისასვლელი აქვს არა ლამის ქუჩიდან, არამედ - პაატა სააკაძის ქუჩის დასაწყისიდან.

ამასთან, პაატა სააკაძის ქუჩის არსებული მოხაზულობა და ნუმერაცია (მოქმედი მისამართები) არ იძლევა ქუჩის დასაწყისში არსებული ობიექტების აღმავალი თანმიმდევრობით დანომვრის საშუალებას. პაატა სააკაძის ქუჩის მარცხენა მხარეს არსებული ობიექტების დანომვრა იწყება არა ქუჩის საწყისი წერტილიდან, არამედ დოდო ჭიჭინაძის ქუჩის კვეთიდან (იხ. სიტუაციური რუკა). მოგმართავთ შუამდგომლობით განიხილოთ შესაბამისი ტერიტორია, პაატა სააკაძის ქუჩის არსებული მოხაზულობა და იმსჯელოთ მისი გარკვეული მონაკვეთის სახელწოდების ცვლილების მიზანშეწონილობაზე.

დანართი: 2 (ორი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

# სიტუაციური ნახაზი

მომზადების თარიღი: 11/04/2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032523199**
თარიღი: **19/08/2025**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
**მისამართი:** თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ტაბატაძის 2025 წლის 29 ივლისის საქმე #06-032521048-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია პაატა სააკაძის ქუჩის არსებული მოხაზულობის დაზუსტება და მისი გარკვეული მონაკვეთების სახელწოდების ცვლილების მიზანშეწონილობაზე მსჯელობა.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ პაატა სააკაძის ქუჩის მონაკვეთისა და დოდო ჭიჭინაძის ქუჩაზე არსებული მოედნის სიტუაციური ნახაზები დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 6 (ექვსი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01252332029**
თარიღი: **21/08/2025**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

17-032523352-03.

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 19.08.2025 წლის #03-032523199 (19.08.2025წ. #14-01252312795-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ოთარ ჩიტიძე

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

**დოდო ჭიჭინაძე**

**(1924-2009)**

**თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი , საქართველოს სახალხო არტისტი.**

დაიბადა ქუთაისში. დაამთავრა საქართველოს კინოსტუდიასთან არსებული კინომსახიობის სტუდია 1945 წელს.

1950 წლიდან იყო კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი. მან არაერთი სცენური სახე შექმნა. 17 როლი ითამაშა კინოში: მარო მაყაშვილი - "გაფითრებულ თებერვლის ლანდში" (2005); "შური" – (2000); "ნეტავ აღარ იწვიმოს" – (2000); "ვალსი პეჩორაზე" – (1992); "ბილიკი" – (1987); ქეთევანი - "ორომტრიალში" (1986); "ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი" – (1983); "სინემა" – (1977); დოდო, გურამის ცოლი - "შეწყვეტილ სიმღერაში" (1960); ეთერი - "ნინოში" (1959); ნინო - "ბაში-აჩუკში" (1956); მზია - "ცისკარაში" (1955); თინა - "ჭრიჭინაში" (1954); ეთერი - "ბედნიერ შეხვედრაში" (1949); ქეთევანი - "დავით გურამიშვილში" (1946). 30-მდე როლი ითამაშა თეატრში, მათ შორის: ივდითი - "ურიელ აკოსტაში", ხათუნა - "ჯარისკაცის ქვრივში", ვარვარა კარპოვნა - "ეზოში ავი ძაღლიაში", მედეა - "მედეაში", ლედი ანა - "რიჩარდ მესამეში", ტუფია - "უბედურებაში", გრაფინია ვრონსკაია - "ანა კარენინაში", მზევინარი - "მოკვეთილში", ანა ბატონიშვილი - "მეფე ერეკლეში", ზოია ვასილევნა - "ლამაზ მამაკაცში", თინათინი - "რაიკომის მდივანში", მზევინარი - "გიორგი სააკაძეში", შირინი - "ლეგენდა სიყვარულზე", ხათუნა - "მთვარის მოტაცებაში"... მიუხედავად ამ არცთუ მრავალი როლისა, ვარსკვლავად იქცა. მას ჰქონდა თავისი სტილი, თავად ქმნიდა მოდას.

1960 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება, ხოლო 1976 წელს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

2009 წელს კინოთეატრ რუსთაველის წინ გაიხსნა დოდო ჭიჭინაძის ვარსკვლავი.

გარდაიცვალა 2009 წელს. დაკრძალეს დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.